

უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსების დადგენის წესი

დამტკიცებულია
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის
2001 წლის 26 იანვრის N4 დადგენილებით

ცვლილებები შეტანილია
საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს
2006 წლის 18 მაისის N37 დადგენილებით

ცვლილებები შეტანილია
საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს
2007 წლის 31 მაისის N16 დადგენილებით

ცვლილებები შეტანილია
საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს
2009 წლის 16 მარტის N3 დადგენილებით

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს წესი შემუშავებულია „საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანული კანონის“, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების, აგრეთვე საერთაშორისო სავალუტო ფონდის წესდებისა და შეთანხმების მუხლების საფუძველზე (1).
2. უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალურ გაცვლით კურსებს ადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი.
3. უცხოური ვალუტების მიმართ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსები გამოიყენება სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისა და საბუღალტრო აღრიცხვის მიზნებისათვის.
4. უცხოური ვალუტების ჩამონათვალს, რომელთა მიმართ საქართველოს ეროვნული ბანკი ადგენს ლარის ოფიციალურ გაცვლით კურსებს, განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკი.

მუხლი 2. უცხოური ვალუტების მიმართ ლარის გაცვლითი კურსების დადგენა

1. უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსების დასადგენად გამოიყენება თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დილის საბირჟო ვაჭრობათა შედეგების მიხედვით დაფიქსირებული აშშ დოლარის მიმართ ლარის გაცვლითი კურსი.
2. საბირჟო ვაჭრობის დღეს (დღე – როდესაც თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე იმართება უცხოური ვალუტით ვაჭრობა) – დღის 11 საათსა და 15 წუთამდე, საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო და ფულად-საკრედიტო ოპერაციების დეპარტამენტი აგროვებს ინფორმაციას შიდა სავალუტო ბაზარზე აშშ დოლარის მიმართ მოქმედი ლარის გაცვლითი კურსის შესახებ. ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო და ფულად-საკრედიტო ოპერაციების დეპარტამენტი არა უგვიანეს 11 საათისა და 15 წუთისა თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის ელექტრონული სისტემიდან იღებს წინასწარ განაცხადს, რომელშიც ნაჩვენებია თანაფარდობა საბირჟო ვაჭრობაში მონაწილეობის

მიღების მსურველი კომერციული ბანკების უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის.

3. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ასევე ქვეყანაში ინფლაციის დონის, საგადახდებლო ბალანსის დინამიკის, საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების მდგომარეობის, მსოფლიო სავალუტო ბაზრებზე კონკრეტულ მომენტში არსებული კონიუნქტურისა და ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებით განსაზღვრული სხვა მაკროეკონომიკური პარამეტრების გათვალისწინებით, საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა იღებს გადაწყვეტილებას თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის ვაჭრობაზე განსახორციელებელ ინტერვენციათა (2) მოცულობების შესახებ.

4. დილის საბირჟო ვაჭრობები თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე იწყება 11 საათსა და 30 წუთზე.

5. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე უცხოური ვალუტების მიმართ ლარის გაცვლითი კურსის განსაზღვრა ხორციელდება ღია ფიქსინგის წესით, ანუ საბირჟო ვაჭრობა წყდება და კურსი მოცემული უცხოური ვალუტის მიმართ ფიქსირდება მაშინ, როდესაც მოთხოვნა ამავე ვალუტაზე გაუთანაბრდება მიწოდების დონეს.

6. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე საბირჟო ვაჭრობა წარმოებს თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის დამფუძნებელთა 1998 წლის 15 აპრილის კრების (ოქმი N18) გადაწყვეტილებით დამტკიცებული თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ვალუტის ყიდვა-გაყიდვის წესების დაცვით.

7. ყოველი სამუშაო-საბანკო დღის პირველი საათისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი (მისი არყოფნის შემთხვევაში, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ვიცე-პრეზიდენტი) შესაბამისი ბრძანების საფუძველზე ადგენს უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალურ გაცვლით კურსებს, რომელიც ქვეყნდება სპეციალური საკურსო ბიულეტენის სახით, კურსების დადგენიდან მომდევნო კალენდარულ დღეს. ამასთან, აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალურ გაცვლით კურსად დგინდება თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე უკანასკნელი დილის ვაჭრობის შედეგად აშშ დოლარის მიმართ დაფიქსირებული ლარის გაცვლითი კურსი. აშშ დოლარის გარდა სხვა უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსების დადგენა ხდება უკანასკნელი დილის ვაჭრობის შედეგად აშშ დოლარის მიმართ დაფიქსირებული ლარის გაცვლითი კურსისა და კონკრეტულ მომენტში საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე აშშ დოლარის მიმართ ამ უცხოური ვალუტების კურსების კროსკურსული გადაანგარიშების საფუძველზე.

8. საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროდ გამოიყენება საინფორმაციო ელექტრონულ სისტემა „როიტერსა“ და „ბლუმბერგში“ არსებული კოტირებები.

9. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები ძალაში შედის დადგენის დღიდან მომდევნო კალენდარულ დღეს (ამასთან, ლარის გაცვლითი კურსების ძალაში შესვლა არ არის დაკავშირებული სპეციალური საკურსო ბიულეტენის გამოქვეყნებასთან).

10. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი საბანკო დაწესებულებები ბალანსის სავალუტო მუხლების გადაფასებას ახდენენ ყოველდღიურად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსების მიხედვით.

მუხლი 3. უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება

1. უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსების დადგენის შემდეგ იმავე სამუშაო დღის ბოლომდე საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო და ფულად-საკრედიტო ოპერაციების დეპარტამენტი საინფორმაციო ელექტრონული სისტემის „როიტერის“ მეშვეობით უზრუნველყოფს ინფორმაციის გაშვებას საფინანსო-საბანკო სისტემაში.
2. უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები კავშირგაბმულობის შესაბამისი არხებით გადაეცემა საქართველოს ეროვნული ბანკის ფილიალებს.
3. ბრძანება უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსების დადგენის შესახებ ხელმოწერისთანავე გადაეცემა საქართველოს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს იმავე სამუშაო დღის ბოლომდე მისი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გასავრცელებლად.

მუხლი 4. საქართველოში მოქმედი საბანკო დაწესებულებების, მისი ფილიალების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისა და ფიზიკური და არასაბანკო იურიდიული პირების ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მიერ უცხოური ვალუტების მიმართ ლარის გაცვლითი კურსების განსაზღვრა და გამოცხადება

1. საქართველოში მოქმედი საბანკო დაწესებულებები, მათი ფილიალები, ვალუტის გადამცვლელი პუნქტები და ფიზიკური და არასაბანკო იურიდიული პირების ვალუტის გადამცვლელი პუნქტები (შემდგომში – საბანკო დაწესებულებები) ლარით უცხოური ვალუტების შესყიდვისა და გაყიდვის კურსებს განსაზღვრავენ დამოუკიდებლად. ამასთან, საბანკო დაწესებულებათა ფილიალებისა და მათი ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისათვის უცხოური ვალუტების ჩამონათვალსა და მათ მიმართ ლარის გაცვლითი კურსების განსაზღვრას ახორციელებენ მათი სათავო საბანკო დაწესებულებები.
2. საბანკო დაწესებულებების მიერ უცხოური ვალუტების მიმართ განსაზღვრული ლარის გაცვლითი კურსები ორიენტირებული უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ უცხოური ვალუტების მიმართ დადგენილ ლარის ოფიციალურ გაცვლით კურსებზე.
3. საბანკო დაწესებულებებს იმ უცხოური ვალუტების მიმართ ლარის გაცვლითი კურსის განსაზღვრა, რომლებზეც საქართველოს ეროვნული ბანკი არ ახდენს გაცვლითი კურსების დადგენას, შეუძლიათ განახორციელონ აშშ დოლარის მიმართ მათ მიერ გამოცხადებული ლარის გაცვლითი კურსისა და საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე აშშ დოლარის მიმართ ამ უცხოური ვალუტების კურსების კროსკურსული გადაანგარიშების საფუძველზე.
4. საბანკო დაწესებულებები ვალდებული არიან, საკურსო-საინფორმაციო სტენდზე მიუთითონ მხოლოდ ლარით უცხოური ვალუტების შესყიდვისა და გაყიდვის კურსები.
5. საბანკო დაწესებულებებს ეკრძალებათ ერთი სახეობის უცხოური ვალუტის კურსის გამოცხადება მეორე სახეობის უცხოური ვალუტის მიმართ.
6. ერთი სახეობის უცხოური ვალუტის გადაცვლა მეორე სახეობის უცხოურ ვალუტაზე უნდა განხორციელდეს საკურსო-საინფორმაციო სტენდზე გამოცხადებული ლარით უცხოური ვალუტების შესყიდვისა და გაყიდვის კურსებიდან გამომდინარე კროსკურსული გადაანგარიშების საფუძველზე.
7. საბანკო დაწესებულებებს ეკრძალებათ საკურსო-საინფორმაციო სტენდზე მათ მიერ გამოცხადებული კურსებით გადაცვლის ოპერაციების არგანხორციელება.

8. საბანკო დაწესებულებებისა და მათი ფილიალებისათვის ნებადართულია საქართველოს რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული პირებისა და მეწარმე ფიზიკური პირების დავალებით ხელშეკრულების საფუძველზე განახორციელონ საკონვერსიო ოპერაციები მათ მიერ საკურსო-საინფორმაციო სტენდზე გამოცხადებული უცხოური ვალუტების მიმართ ლარის გაცვლითი კურსებისაგან განსხვავებული კურსით (აღნიშნული არ ეხება ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს, მიუხედავად ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა).

მუხლი 5. სანქციები

საბანკო დაწესებულებების მიერ ამ წესის მე-2 მუხლის მე-10 პუნქტისა და მე-4 მუხლის მოთხოვნების დარღვევის ან შეუსრულებლობის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი მათ მიმართ განახორციელებს სანქციებს კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის შესაბამისად.

(1) საერთაშორისო სავალუტო ფონდი შექმნილია და მოქმედებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის წესდებისა და შეთანხმების მუხლების საფუძველზე.

(2) ინტერვენცია – ბანკთაშორის სავალუტო ბირჟებზე ცენტრალური ბანკების ჩარევის ფორმა, ეროვნულ და უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნისა და მიწოდების რეგულირების მიზნით.